პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხარასკევი, 21 ივლისი, 1944 წ. № 147 (7090). ფასი 20 კაპ.

წითელი არმიის მეომრები მტერს ახალახალ შემმუსვრელ დარტყმებს აგემებენ.

ბრწყინვალე ვამარჯვებები მოიპოვეს ბალტიისპირეთის მე-3, ბელორუსიის 1-ლი და [illegible] ფრონტების ჯარებმა. გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულია ქალაქები და [illegible] კვანძები ვიაზემირ ვოლინსკი და რავა რუსკაია, ასობით სხვა დასახლებული პუნქტი.

დიდება სამშობლოს სახელოვან შვილებს, რომლებიც ათავისუფლებენ საბჭოთა მიწა-წყალს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ მასლენიკოვს

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ველიკაია, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, სიღრმეზე განვითარებული თავდაცვა ქალაქ ოსტროვის სამხრეთით და ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 70 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს 700-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შანინო, ზელიონოვო, კრასნოგოროდკოე.

ბრძოლებში მდინარე ველიკაიას გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ზასვატკოვის, გენერალ-ლეიტენანტ რეგინსკის, გენერალ-მაიორ სიაზოვის, გენერალ-მაიორ სტეპანენკოს, გენერალ-მაიორ ნიკიშინის, გენერალ-მაიორ როჟდესტვენსკის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კრასნოკევცევის, არტილერიის გენერალ-მაიორ კუტეინიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ოსმოლოვსკის, პოლკოვნიკ რადჩენკოს, პოლკოვნიკ ფასტრიცკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კომოლოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პავლოვის, პოლკოვნიკ ფეინიცკის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, პოლკოვნიკ პოლუშკოს, პოლკოვნიკ დოდონოვის, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოდპოლკოვნიკ პოდმოგილნის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კრიჩევსკის, პოლკოვნიკ ზაიცევის, პოლკოვნიკ პოშეხონცევის, ინჟინერ-პოლკოვნიკ პოლოვცევის მესანგრეებმა, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სინელნიკოვის, პოლკოვნიკ ლონსკოს, პოლკოვნიკ სოკოლოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი მდინარე ველიკაიას გადალახვისას და გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 19 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გადალახეს მდინარე ველიკაია და გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მდინარე ველიკაიას გადალახვისას და მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 19 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ კოველის რაიონიდან, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 50-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 150 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს 400-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები რატნო, მალორიტა, ლიუბომლი, ოკალინი და მივიდნენ მდინარე ზაპადნი ბუგთან.

ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ჩუიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ გუსევის, გენერალ-ლეიტენანტ კოლპაკჩის, გენერალ-ლეიტენანტ პოპოვის, გენერალ-ლეიტენანტ გლაზუნოვის, გენერალ-ლეიტენანტ ფოკანოვის, გენერალ-მაიორ რიშკოვის, გენერალ-მაიორ კუზმინის, გენერალ-მაიორ პოზნიაკის, გენერალ-მაიორ ანაშკინის, გენერალ-მაიორ ვოლკოვის, გენერალ-მაიორ ბარინოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კაზაკოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ პოშარსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ გოდინის, არტილერიის გენერალ-მაიორ გორბუნოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ მოძელევსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ დმიტრიევის, არტილერიის გენერალ-მაიორ იგნატოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კურკოტკინის, არტილერიის გენერალ-მაიორ სნეგუროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბიტიუცკის, პოლკოვნიკ კობრინის, პოლკოვნიკ კაბანის, პოლკოვნიკ ზაბელოს, პოლკოვნიკ ეფიმოვის, პოლკოვნიკ ზნაჩენკოს, პოლკოვნიკ გუტინის, პოლკოვნიკ უშაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლიარსკის, პოლკოვნიკ კოპელევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ორლოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვაინრუბის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ იუშჩუკის, პოლკოვნიკ ტიხონჩუკის, პოლკოვნიკ ერემეევის, პოლკოვნიკ ტიმჩენკოს, პოლკოვნიკ აგაფონოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ რუდენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოლინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტოკარევის, ავიაციის გენერალ-მაიორ სიდნევის, ავიაციის გენერალ-მაიორ კრუპსკის, პოლკოვნიკ ბორისენკოს, პოლკოვნიკ სუხორიაბოვის, პოლკოვნიკ კალინინის, პოდპოლკოვნიკ სმირნოვის, პოდპოლკოვნიკ მიასოედოვის, მაიორ კომარკოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პროშლიაკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ვიტვინინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იოფეს, ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორ შაპიროს, პოლკოვნიკ სვადკოვსკის, პოლკოვნიკ კისელევის, პოლკოვნიკ კლემენტიევის, პოდპოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ დობრინინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მაქსიმენკოს, პოლკოვნიკ ჩერკასოვის, პოლკოვნიკ მაკაროვის, პოლკოვნიკ ჩეხოვის, პოდპოლკოვნიკ სახაროვის, პოდპოლკოვნიკ კალენტიევის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 ივლისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა კოველის დასავლეთით.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 19 ივლისი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

შპრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ვითარებდნენ წარმატებითს შეტევას, დღეს, 20 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქები და დიდი სარკინიგზო კვანძები ვლადიმირ ვოლინსკი და რავა რუსკაია—გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები დასავლეთ უკრაინაში.

ქალაქების ვლადიმირ ვოლინსკისა და რავა რუსკაიას დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გორდოვის, გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-მაიორ დრონკოვის, გენერალ-მაიორ ჩერემისანოვის, გენერალ-მაიორ ონუპრიენკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ ძევულსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ კუბეევის, არტილერიის გენერალ-მაიორ იაროვოის, პოლკოვნიკ იანოვსკის, პოლკოვნიკ რიკლისის, პოლკოვნიკ არსახოვსკის, პოლკოვნიკ სკოროდუმოვის, პოდპოლკოვნიკ ცესარის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ნოვიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ანიკუშკინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კოროლიოვის, პოლკოვნიკ სადოვსკის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ზლატოცვეტოვის, პოლკოვნიკ კოლომეიცევის, ავიაციის გენერალ-მაიორ მირონენკოს, პოლკოვნიკ ოსადჩის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ გალიცკის, პოლკოვნიკ ბარაშის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ახრემენკოს, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოდპოლკოვნიკ სიმხოვიჩის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ვლადიმირ ვოლინსკისა და რავა რუსკაიას დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ვლადიმირ ვოლინსკის", „რავა რუსკაიას" სახელწოდებათა მიმანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები ვლადიმირ ვოლინსკი და რავა რუსკაია.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების ვლადიმირ ვოლინსკისა და რავა რუსკაიას განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 20 ივლისი.

ვაშინგტონში შესდგება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკება უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხზე

შესაბამისად მოსკოვის კონფერენციის გასული წლის 2 ნოემბრის დეკლარაციისა მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაცავად საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხზე, აგვისტოს დამდეგს ვაშინგტონში (ამერიკის შეერთებული შტატები) შესდგება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა წინასწარი ოფიციალური მოლაპარაკება უშიშროების აღნიშნული საყოველთაო ორგანიზაციის დაარსების ძირითად საკითხებზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელ რესპუბლიკურ კომისიაში

I.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელმა რესპუბლიკურმა კომისიამ განიხილა სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის პირველი ნახევრის შედეგები და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნო შემდეგი რაიონები:

მახარაძის — ლაგოდეხის
წალენჯიხის — გორის
წყალტუბოს — თბილისის
ორჯონიკიძის — გუდაუთის
თეთრი წყაროს — ქედის
ყვარლის — ზნაურის

ამ რაიონებს კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

II.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხაზით

1944 წლის პირველ ნახევარში სატრაქტორო სამუშაოთა შესრულების შედეგების მიხედვით კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნო შემდეგი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები:

მახარაძის — დუშეთის
ცხაკაიას 1-ლი — ახმეტის
ზესტაფონის — შულავრის

ამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, აქვთ ეკონომია საწვავის ხარჯვაში დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

III.

საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობების ხაზით

საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობების პირველი ნახევარი წლის მუშაობის შედეგთა მიხედვით კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნო შემდეგი საბჭოთა მეურნეობები:

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

სამტრესტის ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

IV.

საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების ხაზით

საქართველოს სს რესპუბლიკის ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის პირველი ნახევრის შედეგთა მიხედვით კომისიამ საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნო შემდეგი საბჭოთა მეურნეობები:

ურეკის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობა.

კახაბრის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
19 ივლისის ოპერაციული ცნობა

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ველიკაია, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, სიღრმეზე განვითარებული თავდაცვა ქალაქ ოსტროვის სამხრეთით და ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 70 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს 700-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზაბოლოტიე, ჩერტოვიდვორ, ტიმოხოვო, ერმოლკინო, შანინო, ველიე, ზელიონოვო, პუსტოე, ვოსკრესენიე, სკადინო, ლოსი, პეტრლიცა, როგოზკი.

19 ივლისის განმავლობაში ქალაქ ოპოჩკის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შერშები, განკოვა, როგატკინო, დებგლევა, ფედორენკი, ნირზა, ვეცსლოგოდა, ეგლევო და რკინიგზის სადგურები ნირზა, ოზოლკაძნსი.

ქალაქ დრისის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვეტეროვიცი, ზენზი, ასუნე, ინდრა, სპრადალი, დალდუშა, სლოგოდკა და რკინიგზის სადგური ინდრა.

ქალაქ ალიტუსის ჩრდილოეთითა და სამხრეთით ჩვენი ჯარები იერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარე ნემანის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმების გასაფართოებლად.

ქალაქ ვოლკოვისკის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე სვისლოჩი და ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პეტრაშევიჩი, კრუშინიანი, ხომენტოვცი, გოგროვნიკი, შუბრი, დუბლიანი და რკინიგზის სადგური კრინკი. ჩვენს ნაწილებს ტყვედ დანებდა გერმანელთა 31-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ოქსნერი.

ბრესტის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური კლეშჩელი, აგრეთვე დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბერიოზა, იმენინი, გოროდეცი, მეფედოვიჩი, კამენ შლიახეცკი, კამენ კრულევსკი, კობრინი და რკინიგზის სადგური გოროდეცი.

ლვოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი სოკალი, ქალაქი მოსტი ველიკიე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბოგატინი, კრისტინოპოლი, ოსტროვი, პრუსინოვი, კულიჩკოვი, დერევნია, ძიგულკი, ჟულტანცი, რემენოვი (14 კილომეტრზე ქალაქ ლვოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძეძილოვი, კოზლოვი, ოლშანიცა, იაბლონოვკა, ტოპოროვი, ზაბლოტცი, პოდგოროცი და რკინიგზის სადგურები სოკალი, კრისტინოპოლი, პარხაჩი, სტრიგანა, საპეჟანკა, ჩუდანცი, ზაბლოტცი. სოკალის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე ზაპადნი ბუგი.

ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს მოწინააღმდეგის 4-5 დივიზიისაგან შემდგარი დაჯგუფების გარშემორტყმა ქალაქ ბროდის დასავლეთით მდებარე რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

18 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა უველა ფრონტზე დაზვიანეს და მოსპეს გერმანელთა 65 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 34 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის კვანძები დვინსკი, ლვოვი, სედლეცი

18 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები დვინსკის, ლვოვისა და სედლეცის სარკინიგზო კვანძებზე.

დაბომბების შედეგად დვინსკის სარკინიგზო კვანძზე მრავალი ხანძარი გაჩნდა. დამსხვრეულია და ცეცხლი გაუჩნდა ცხრამდე სარკინიგზო შემადგენლობას. დაკვირვებით შემჩნეულია ძლიერი აფეთქებანი. საჭონლის სადგურზე გაჩნდა განსაკუთრებით დიდი ხანძარი, რომელსაც თან ახლდა პერიოდული აფეთქებანი.

ლვოვის სარკინიგზო კვანძზე ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია ორი სამხედრო ეშელონი და საომარი მასალათა საწყობები, ხანძრებს შორის დიდი ძალას სამი აფეთქება მოხდა.

სედლეცის სარკინიგზო კვანძზე (ვარშავის სამხრეთ-აღმოსავლეთით) დაბომბების შედეგად ხანძრები გაჩნდა. აწეულა ვაგონები და პლატფორმები სამხედრო ტვირთებით, აგრეთვე გერმანელთა სამხედრო საწყობები.

20 ივლისის ოპერაციული ცნობა

20 ივლისის განმავლობაში ქალაქ ოსტროვის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დემეშკინო, აშკოვო, სერგინო, პეზლოვო, როგოვო, შმაილი.

ქალაქ დრუის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითი ბრძოლების წარმოებას, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის სვარინცი, ვეიზენიშტი, პერველიშკი, გეიბი, სტაინიშკი და რკინიგზის სადგური სკაისტა.

ქალაქ უტენის ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კამაიკი, იურკუპიკი, ვილი, შატეშანიკი, ბაიარი, რიშანცი, შვედასკი, მიჩანი, შლოვიანი და რკინიგზის სადგურები პანევეზელისი, კლიაკურიშკისი, სკაისიშკისი. ჩვენმა ჯარებმა გადაჭრეს ლვინსკ-პანევეზელისის რკინიგზა.

ქალაქ ვოლკოვისკის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის სპროგლიაკი, სტრაშევო, გოროდოკი, მელეშკი, პოდოზერანი, ოზიაგლი.

ბრესტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო სადგური კობრინი, საკვანძო რკინიგზის სადგური ჩერემხა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მოხნატა, ორლია, კოშკი, დაში, ჩერემხა, ვერხოვიჩი, ლებატი, ბოჩისოვო და რკინიგზის სადგურები ნარევკა, გნილეცი, გრიბოროვცი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ კოველის რაიონიდან, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 50-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 150 კილომეტრამდე ფრონტით. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ოვოჩინის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი ლიუბომლი, ქალაქი რატნო, ქალაქი ტურიისკი, ქალაქი მაცეევი, ზაბოლოტიე, გოლოვნო, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მოკრანი, მალორიტა, ტური, გუტა რაბენსკა, დუბაჩნო, კრიმნო, ლიუბოხინი, ტური, გუტა რაბენსკა, დუბაჩნო, კრიმნო, ლიუბოხინი, გუტაველი, სოკოლოვკა, ოკალინი, რიშანი, გერეჟცი, ბინდიუგა, კოლრიტნი, ნიკიტიჩი და რკინიგზის სადგურები მალორიტა, ხოცისლავი, ზაბოლოტიე, კრიმნო, ვიუშა, მიზოვო, მოშჩიოვნია, ტურიისკი, ტურკპინი, ოვადნო, ჩერკასი, მაცეიოვი, პოდგოროდნია, ლიუბომლი, იბგოდინი.

ჩვენი ჯარები მივიდნენ მდინარე ზაპადნი ბუგთან.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას ავითარებდნენ, 20 ივლისს, იერიშით დაიკავეს ქალაქები და დიდი სარკინიგზო კვანძები ვლადიმირ ვოლინსკი და რავა რუსკაია, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი გლინიანი, ქალაქი პერემიშლიანი, დიდი დასახლებული პუნქტები ხრიპალიჩი, სუხოდოლი, ლიტოვიეჟი, უგრინუვი, ვარენეჟი, გულჩე, პუშმისლუვი, გელზი, დოგაუვეი, კაროკი, ზაგოჟინი, ტურინკა, კულიკოვი, დოროშევი (8 კილომეტრზე ლვოვის ჩრდილოეთით), ზაპიტოვი, სლოვიტა, გოლოგურიე, რემიზოვცი, კლუგოვი, კაბაროვცი, გლინა, ოლესინი, გელენკოვი, ვიძტოროვკა და რკინიგზის სადგურები ბუჩნოვი, იანევიჩი, ივანიჩი, ულვუვეკი, ცელენეი, ოსტრუვი, გელზი, კოროჩუვი, ზაპიტოკი, კუტკოვი, ზგოროვი, კლუგოვი, ტუსტოგლავი, იარჩევცი.

ქალაქ ბროდის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახპობად, ავიწროებდნენ გარშემორტყმის რკალს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ადამი, სოკოლოვკა, კონტი, იუშკოვიცი, ოლესკო.

ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის უველა ცდა — თავი დაეღწია გარშემორტყმისაგან და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

19 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა უველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 91 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 43 თვითმფრინავი.

* * *

19 ივლისს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები შაულიაის სარკინიგზო კვანძზე. დაბომბვის შედეგად 18 ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძრები გაჩნდა რკინიგზის კვანძის სამხრეთ ნაწილში. აწეულა ეშელონები მოწინააღმდეგის საწვავიანად და სამხედრო ტვირთიანად. ჩვენმა მფრინავებმა სამიზნოდან წამოსვლისას ხანძრები შეამჩნიეს 200-მდე კილომეტრ მანძილზე.

* * *

ფლოტის ავიაციამ მკირებული თავდასხმა მოახდინა კირკენესის (ჩრდილოეთი ნორვეგია) ნავსადგურზე. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრან-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ივლისის ოპერაციული ცნობა

(დასასრული. დასაწყისი იხ. 1-ლ გვერდზე).

სპორტი 3 ათასი ტონა წყალწყვის, თვითმავალი კარშატი და საგუშაგო გემი. ნავსადგურში ძრავალი ხანძარი გაჩნდა. საწყობების რაიონში რამდენიმე აფეთქება მოხდა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 9 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ქალაქ ოსტროვის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და მივიდნენ გერმანელების მიერ წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს ზღუდესთან მდინარე ლჟაზე. ლამით საბჭოთა მებრძოლებმა გადალახეს მდინარე და გაარღვიეს მტრის თავდაცვა. ჩვენი ნაწილები ბრძოლებს აწარმოებენ პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარის დასავლეთ ნაპირზე. მარტო ერთ-ერთი გადასასვლელის რაიონში გაელეტილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდებთ 17 ქვემეხი, 9 ტანკი და ტყვედ წამოვიყვანეთ 200-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ქალაქ ვოლკოვისკის დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილები, რომლებმაც შემოვლითი მანევრი მოახდინეს ტყეთა და ჭაობით დაფარულ ადგილებზე, ორი მხრიდან მივიდნენ დაბა გოროდოკთან. ქუჩის ბრძოლაში განადგურებულია მოწინააღმდეგის გარნიზონი. მოსახლეობა ერთ ბატალიონზე მეტ გერმანელთა ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდებთ ორი ტანკი, 40 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე საწყობი სათმარ მასალიანად და სურსათით.

* * *

ბრესტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რკინიგზების დიდი კვანძი ჩერეომხა. ხელთ ვიგდებთ გერმანელთა სამხედრო საწყობებსა, დიდძალი ვაგონი, პლატფორმა და ორთქლმავალი. გაფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ კობრინისათვის. ჩვენმა მოძრავმა რაზმებმა გადალახეს მდინარე მუხოვეცი, გადასჭრეს კობრინ-ბრესტის გზატკეცილი და მოწინააღმდეგის დაარტყეს სამხრეთ-დასავლეთიდან. სხვა საბჭოთა ნაწილები შეიჭრნენ ქალაქში აღმოსავლეთიდან. გადამწყვეტი დარტყმებით გერმანელთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ქალაქი კობრინი გაწმენდილია ფაშისტი დამპყრობლებისაგან. წამოღებულია დიდძალი დაწლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ კოველის რაიონიდან. ჩვენი არტილერიის გაშანადგურებელი ცეცხლით დეზორგანიზებულ იქნა გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვა. ჩვენი ქვეითი ჯარი შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და ხიშტით დაამთავრა ჰიტლერელთა განადგურება, რომლებიც პირველ ხაზში იმყოფებოდნენ. ერთ უბანზე ჩვენმა ჯარებმა შეტევის დღის პირველი ნახევრის განმავლობაში გაანადგურეს გერმანელთა 26-ე ქვეითი დივიზია. ფრონტის ჯარებმა განავითარეს წარმატება, წინ წაიწიეს 50-მდე კილომეტრით, დაიკავეს ქალაქები ლიუბოშლი, რატნო, ტურიისკი, მაციევი და 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგის უდიდესი ზარალი მოსდის. საბჭოთა ვებრძოლებმა ერთ რაიონში ხელთ იგდეს 60 საველე ქვემეხი, 17 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 1.400 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 6 თვითმავალი და 32 საველე ქვემეხი, 70 ნაღმსატყორცნი და წამოიყვანეს მრავალი ტყვე.

მიუხედავად ცუდი ამინდისა ჩვენი ავიაცია განუწყვეტლივ ურტყამდა გერმანელთა ჯარებს. სამი დღის განმავლობაში საბჭოთა მოიერიშეებმა მოსპეს გერმანელთა 20 ტანკი, აგრეთვე 400-მდე ავტომანქანა და საზიდარი ჯარებისაგან და სხვადასხვა ტვირთისაგან. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 26 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები, რომლებიც ავითარებდნენ წარმატებითს შეტევას, მივიდნენ ქალაქ ვლადიმირ ვოლინსკისთან. მტერი ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ქალაქის მისადგომებზე გერმანელები განადგურებულ იქნენ. უკანდახეული ჰიტლერელების კვალდაკვალ საბჭოთა მებრძოლები ქალაქში შეიჭრნენ. ქუჩებში გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რკინიგზის კვანძი და ქალაქი ვლადიმირ ვოლინსკი. სხვა რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 30 კილომეტრით და სწრაფი იერიშით დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი რავა რუსკაია, რომელიც ლვოვის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. მოწინააღმდეგის უდიდესი ზარალი მოსდის. 6 შენაერთის ნაწილებმა შეტევის განმავლობაში მოსპეს 8 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 96 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 107 საველე ქვემეხი, 50 ნაღმსატყორცნი და 300-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. გერმანელებს წაგართვეთ 88 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 160 საველე ქვემეხი და სხვა დაწლა. ტყვედ წამოვიყვანეთ 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ ბროდის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. იმის შემდეგ, რაც მარცხი განიცადა გერმანელთა ცდამ — გაჭრილიყვნენ დასავლეთის მიმართულებით, მათ წამოიწყეს კონტრიერიშები საჭრის მიმართულებით. ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია. საბჭოთა მებრძოლები განაგრძობენ გარეშოცვის რკალის შევიწროებას. წამოყვანილია 500-ზე მეტი ტყვე.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ფინეთის ყურეში ჩაძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 3.500 ტონა წყალწყვისა.

დღეები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 19 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობაში ნათქვამია:

გააფთრებული ბრძოლა ჩაღდება ვოსელის გარეუბანში და კანის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ვაკეებზე. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა სატანკო ნაწილები და ცდილობს მოახდინოს იმ გარღვევის ლიკვიდაცია, რომელიც მოკავშირეებმა ამ რაიონში გერმანელთა პოზიციებში განახორციელეს. ვიუვინის რაიონში — ტილლი-სურ-სელის სამხრეთით — ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს დაახლოებით ნახევარი მილით. მოწინააღმდეგე გააფთრებულ ბრძოლას ეწევა და ცდილობს შეინარჩუნოს ბრძოლის ველი. 18 ივლისს საღამოს გერმანელთა 20 ტანკი, აგრეთვე 400-მდე ავტომანქანა და საზიდარი ჯარებისაგან და სხვადასხვა ტვირთისაგან. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 26 თვითმფრინავი.

ლონდონი, 19 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 19 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

დღეს დილით გრძელდებოდა ქვეითი ჯარისა და სატანკო ნაწილების გაფთრებული ბრძოლები კანის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. ვოსელის გარეუბანი ახლა მთლიანად ჩვენს ხელშია. მდინარე ორნის დასავლეთ ნაპირზე სოფელი ლუვინი და აღმოსავლეთ ნაპირზე სოფელი ფლერი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზის გარღვევა გაფართოებულია, და მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს სოფლები ტუფრევილი, დემუვილი და ეუბერვილი.

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

გრძელდება ბრძოლები ქალაქ კანის სამხრეთით და აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც წინ მიიწევენ ტროარის მიმართულებით, მიადგნენ რკინიგზას ამ ქალაქიდან ნახევარ მილზე. ამავე დროს სხვა ნაწილები მონაწილეობას იღებდნენ მტრის ჯარების ნაშთების ლიკვიდაციაში ლუვინიასა და ვოსელში და განდევნეს მოწინააღმდეგე სოფელ კორმელიდან და იფიდან. ამ სოფლების სამხრეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯავშანსატანკო ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ჯავშანსატანკო და ტანკსაწინააღმდეგო ძალების წინააღმდეგ. შემდეგ დასავლეთით ჩვენი ჯარები გაწყვეტლივ წინ მიიწევენ გრენვილისა და სენ-ჟერმენ-დიქტის შუა.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მოწინააღმდეგის ობიექტებზე.

საომარი მოქმედება იტალიაში

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ლივორნო და ანკონა

ლონდონი, 19 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ 18 ივლისს ინგლისის მე-8 არმიამ მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევის შედეგად დაიკავა მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი ანკონა. წამოყვანილია ბევრი ტყვე და წამოღებულია სამხედრო მასალების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ქვეითი ჯარი ჯავშანსატანკო ძალების დახმარებით განაგრძობს უკანდახეული მტრის დევნას. შეტევის ერთი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარებმა სხვა ქალაქებს შორის დაიკავეს აგულიანო და კამერატა (ანკონის რაიონში). ფრონტის ცენტრალურ უბანზე მე-8 არმიის ინგლისელთა ნაწილებმა, რომლებიც არეულის დასავლეთით უტევენ, გადალახეს არნო ამ კილომეტრის სიგრძის ფრონტზე. შემდეგ დასავლეთისაკენ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი მონტეგარკი. ამერიკის მე-5 არმიის ნაწილები სწრაფი შეტევის შედეგად მიადგნენ მდინარე არნოს, დაიკავეს ქალაქი პონტედერა და გადასჭრეს პიზა-ფლორენციის გზა, რითაც გზა გადაუჭრეს არნოს სამხრეთით მყოფ გერმანელთა ჯარებს. ამერიკელთა ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ლივორნოს აღმოსავლეთით და ამიჯადმდე უჭირავთ ფერდობები მონტე დელა პოჯას მაღლობზე, რომელიც ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრზე მდებარეობს და ქალაქს დაჰყურებს. სხვა დასახლებულ პუნქტებს შორის მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს პონსაკო, ფაულია და ლუჩიანა (ლივორნოს რაიონში).

მძიმე ბომბდამშენები გუშინ თავს ესხმოდნენ მტრის ობიექტებს სამხრეთ გერმანიაში. მოკავშირეთა ავიაციის სხვა შენაერთები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ხაზებს, საარტილერიო პოზიციებსა და ავტოტრანსპორტს ბრძოლების ზონის ჩრდილოეთით, აგრეთვე თავს ესხმოდნენ მტრის ობიექტებს იუგოსლავიაში. ამ ოპერაციების დროს მოსპობილ იქნა 376 მტრის 66 თვითმფრინავი.

ლონდონი, 19 ივლისი (საკდესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა იტალიის დასავლეთ სანაპიროზე დაიკავეს ქალაქი ლივორნო.

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ლივორნოს დაკავების შედეგად ამერიკის მე-5 არმიის ნაწილები მიადგნენ მდინარე არნოს 40 კილომეტრის ფრონტის სიგრძით. ფრონტის ამ უბანზე არნოს სამხრეთით მტერი მხოლოდ არაორგანიზებულ წინააღმდეგობას გვიწევს. შემდეგ აღმოსავლეთით ამერიკის მე-5 არმიის ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის არიერგარდებთან და ცდილობენ მტრის ძირითადი ძალების მოწყვეტას. ინგლისის მე-8 არმიის ნაწილები ებრძვიან მტერს ადრიატიკის სანაპიროზე